

თანხა“ [20].

საქართველოში ჩეკების გაცემისა და მიმოქცევის წესს არეგულირებს 1995 წელს მიღებული კანონი „ჩეკის შესახებ“, რომლის მიხედვითაც, აუცილებელია, ჩეკი შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

- სიტყვას „ჩეკი“ დოკუმენტის სათაურში;
- უპირობო დათქმა მითითებული თანხის გადახდის შესახებ;
- გადამხდელის დასახელება;
- განაღდების ადგილი;
- ჩეკის გამონერის ადგილი და თარიღი;
- ჩეკის გამონერის ხელმოწერა.

მნიშვნელოვანია, რომ ჩეკი შეიძლება გამოწერილ იქნეს მხოლოდ იმ საბანკო დანესებულებაზე, რომელშიც ინახება ჩეკის გამომწერის სახსრები. უფრო მეტიც, დოკუმენტი, გამოწერილი არასაბანკო დანესებულებაზე, თუნდაც მას ჰქონდეს ჩეკის სახელწოდება, ჩეკად არ ჩაითვლება.

ჩეკის გამომწერის უფლება აქვს როგორც იურიდიულ, ისე ფიზიკურ პირს და მისი სამი სახეობა არსებობს:

- **სახელობითი ჩეკი** – გამოიწერება კონკრეტული პირის სახელზე „არა განკარგულებით“, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ჩეკის განაღდება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ გამოწერილი კონკრეტული პირის სახელზე;
- **საორდერო ჩეკი** – გამოიწერება კონკრეტული პირის სახელზე „განკარგულებით“, ანუ იგი საშუალებას აძლევს ჩეკში მითითებულ პიროვნებას, ან თვითონ მიიღოს თანხა, ან გადასცეს ეს უფლება მესამე პირს შესაბამისი წარწერის („ინდოსამენტი“) მეშვეობით. ამ პირს, თავის მხრივ, შეუძლიათ ჩეკის შემდეგი ინდოსირება, ანუ სხვა პირზე გადაცემა;
- **ჩეკი წარმდგენზე** – გამოიწერება კონკრეტული პირის მითითების გარეშე.

ჩეკის გამცემს, აგრეთვე მის მფლობელს შეუძლიათ აკრძალონ ჩეკის ნაღდი ფულით განაღდება, „აქციონ“ ის საანგარიშსწორებო ჩეკად, რისთვისაც ჩეკის წინა პირზე კეთდება წარწერა დიაგონალურად „ანგარიშსწორებისათვის“. ასეთი ჩეკის თანხა ჩამოიწერება გადამხდელის ანგარიშიდან და შეიტანება ჩეკის წარმდგენის ანგარიშზე.

საჩეკო მიმოქცევის ინსტრუმენტი – საფულე ჩეკი შესულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს „მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების)“ ნუსხაში.

12.5. უნაღდო ანგარიშსწორება ფიზიკური პირის მიერ

„საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორების წესების“ შესაბამისად, „ფიზიკურ პირში“ იგულისხმება პირი, რომლის მიერ წარმოებული უნაღდო ანგარიშსწორება არ არის დაკავშირებული სამეწარმეო საქმიანობასთან. ფიზიკური პირების მიერ უნაღდო ანგარიშსწორება წარმოებს ორი გზით:

20 საქართველოს კანონი „ჩეკის შესახებ“, ზოგადი განმარტებები.

- ბანკებში გახსნილი საბანკო ანგარიშების მეშვეობით (მიმდინარე, ანაბრის ან საბანკო პლასტიკური ბარათის ანგარიშები);
- საბანკო ანგარიშის გახსნის გარეშე.

საბანკო ანგარიშით უნაღდო ანგარიშსწორების განხორციელებისას ფიზიკურ პირს უფლება აქვს ისარგებლოს უნაღდო ანგარიშსწორების ნებისმიერი ფორმით. ბანკის მიერ ფიზიკური პირის საბანკო ანგარიშიდან სახსრების ჩამონერა ანგარიშზე არსებული სახსრების ფარგლებში ხდება ანგარიშის მფლობელის განკარგულების (საგადახდო დავალების) საფუძველზე ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მისი განკარგულების გარეშე. ნიშანდობლივია, რომ ბანკს უფლება აქვს ოპერაცია აწარმოოს ფიზიკური პირისათვის გაცემული კრედიტის ხარჯზე, თუკი მის ანგარიშზე ფიქსირდება სახსრების უკმარისობა. დაუშვებელია ფიზიკური პირის საგადახდო დავალებაში მითითებული თანხის ნაწილობრივ ანაზღაურება.

ფიზიკურ პირს შეუძლია თავის ანგარიშზე არსებული სახსრების განკარგვის უფლება, მინდობილობის საფუძველზე, მიანიჭოს სხვა ფიზიკურ პირს (ნდობით აღჭურვილ პირს). ერთჯერადი ან პერიოდული გადარიცხვების (მაგ., კომუნალური და სხვ.) საწარმოებლად ფიზიკურ პირს შეუძლია საგადახდო საბუთების შევსების უფლება ხელშეკრულების ან განცხადების საფუძველზე მიანიჭოს საბანკო დაწესებულებას.

ფიზიკური პირის განცხადებაში საბანკო ანგარიშიდან გადახდებზე, როგორც ნესი, აისახება:

- გადამხდელის სახელი, გვარი და პირადი ნომერი;
- გადამხდელის საბანკო ანგარიშის ნომერი;
- სახსრების მიმღების დასახელება და ანგარიშის ნომერი;
- მიმღები ბანკის დასახელება და კოდი;
- გადასახდელი თანხა ან მისი ოდენობის განსაზღვრის პირობები;
- გადახდის თარიღი და გადახდების პერიოდულობა;
- გადახდის დანიშნულება;
- განცხადების მოქმედების ვადა;
- განცხადების შედგენის თარიღი;
- განცხადების შესრულებისათვის საჭირო დამატებითი რეკვიზიტები (მაგ., ტელეფონის ნომრები და სხვ.).

ფიზიკურ პირს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს თავისი ანგარიშიდან გადახდებზე ბანკისათვის მინიჭებული უფლება საბანკო დაწესებულებაში შესაბამისი განცხადების წარდგენით. მსგავსად იურიდიული პირისა, ფიზიკური პირის საგადახდო დავალების შევსება შეიძლება როგორც ქალაქის სახით, ისე ელექტრონულად.

საბანკო დაწესებულებაში ანგარიშის გახსნის გარეშე ფულადი სახსრების გადარიცხვები ხორციელდება ფიზიკური პირისაგან გადარიცხვის მომენტში მიღებული ფულადი სახსრების ხარჯზე, ფიზიკური და იურიდიული პირების, ასევე ბიუჯეტის სასარგებლოდ. ფიზიკური პირი ასევე უფლებამოსილია ანგარიშის გახსნის გარეშე აწარმოოს გადარიცხვები სხვა პირის ნაცვლად. ანგარიშის გახსნის გარეშე ოპერაციების შესასრულებლად ბანკი ვალდებულია მოახდინოს ფიზიკური პირის სრულყოფილი იდენტიფიცირება.